ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

20-87

დადგენილება № ---

"_30_" _დეკემბერი_ 2014 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საქალაქო სამსახურებისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონული გამგეობების მიერ გაცემული საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 93-ე მუხლის მეორე პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 38-ე მუხლის, „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ" საქართველოს კანონის, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის საფუძველზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატიდან, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციიდან, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საქალაქო სამსახურებიდან და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონული გამგეობებიდან საჯარო ინფორმაციის მიღებით დაინტერესებული ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის დაწესებული საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდა განხორციელდეს სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე, საბანკო დაწესებულების მეშვეობით.

2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცია, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საქალაქო სამსახურები და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონული გამგეობები მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის ასლს გასცემენ დაინტერესებული პირის მიერ საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ.

3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატიდან საჯარო ინფორმაცის მიღებით დაინტერესებული ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის, „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული შეღავათის გარდა, წლის განმავლობაში მოსაკრებლის გადახდის გარეშე გამოსათხოვი საჯარო ინფორმაციის ოდენობა შეადგენს 5 გვერდს A4 ფორმატის ქაღალდის ქსეროასლის გადაღებისათვის.

4. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციიდან, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საქალაქო სამსახურებიდან და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონული გამგეობებიდან, 2015 წლის განმავლობაში, საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის გარეშე გაიცემა ის გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია, რომლის ასლის გადაღების მოსაკრებლის ოდენობა არ აღემატება 2 ლარს.

5. ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

ა) „ქ. თბილისის საკრებულოს აპარატის მიერ გაცემული საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2012 წლის 24 თებერვლის N15 დადგენილება;

ბ) ,,ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის, ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურებისა და ქ. თბილისის რაიონული გამგეობების მიერ გაცემული საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის შესახებ“ ქალაქ თბილისის მთავრობის 2014 წლის 11 თებერვლის №05.02.173 დადგენილება.

6. დადგენილება ძალაში შედის 2015 წლის 1 იანვარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

განმარტებითი ბარათი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საქალაქო სამსახურებისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონული გამგეობების მიერ გაცემული საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე

ა) საკრებულოს დადგენილების პროექტის მიღების მიზეზი:

საკრებულოს დადგენილების პროექტის მიღება განპირობებულია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მიღებით, რომლის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა აღარ გამოსცემს ნორმატიული ხასითის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, აგრეთვე დღეს მოქმედ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ახალ ადგილობრივ თვითმმართველობის კოდექსთან შესაბამისობაში მოყვანით.

საქართველოს კანონი "საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ" ადგენს საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის წესს, რომლის მიხედვით საჯარო დაწესებულება უფლებამოსილია განსაზღვროს წლის განმავლობაში მოსაკრებლის გადახდის გარეშე გამოსათხოვი საჯარო ინფორმაციის მინიმალური ოდენობა. წარმოდგენილი პროექტით ასეთი შეღავათი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატიდან საჯარო ინფორმაცის მიღებით დაინტერესებული ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის, შეადგენს 5 გვერდს A4 ფორმატის ქაღალდის ქსეროასლის გადაღებისათვის, ხოლო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციიდან, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საქალაქო სამსახურებიდან და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონული გამგეობებიდან, საჯარო ინფორმაცია მოსაკრებლის გადახდის გარეშე გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ ასლის გადაღების მოსაკრებლის ოდენობა არ აღემატება 2 ლარს.

ვინაიდან საკითხის დარეგულირება უნდა მოხდეს ნორმატიული ხასიათის ადმინისტრაიულ-სამართლებრივი ხასიათის აქტით, ხოლო საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის თანახმად,

ნორმატიული ხასიათის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტის გამოცემის უფლება აქვს მხოლოდ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, წარმოდგენილი პროექტით ზემოაღნიშნული წესი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოსთვის მტკიცდება ერთი აქტით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით.

ბ) პროექტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები:

წარმოდგენილი პროექტით ხორციელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოსთვის საჯარო ინფორმაციის გაცემა "საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ" საქართველოს კანონით ნებადართული შეღავათით.

გ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:

პროექტის მიღება გავლენას იქონიებს თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე. პროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებსა და იგი არ მოახდენს ფინანსურ გავლენას იმ პირებზე, რომლებიც მოექცევიან ამ პროექტის რეგულირების სფეროში.

დ) პროექტის ავტორი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ე) პროექტის წარმდგენი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია